# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 36

„20“ თებერვალი 2024 წ

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.02.004.005.01.119) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^{1}$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.02.004.005.01.119) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 თებერვლის №24.206.245 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს №8-ში, პირველ სართულზე არსებული 85.74 კვ.მ. ფართის ბინა №119-ის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.004.005.01.119) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მაია ტურაშვილისთვის (პ/ნ. 01001054188) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ტყემალაძე